

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ბიუჯეტის
12 თვის შესრულების ანგარიშის შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული იქნა 2012 წლის 28 დეკემბერს, რის შედეგადაც განისაზღვრა ბიუჯეტის შემოსულობები 7879,3 ათასი ლარის ოდენობით (ნაშთის ცვლილების გარეშე).

2013 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელდა 13 ცვლილება, რაც გამოწვეულია:

- 520,8 ათ ლარი - წლის დასაწყისში არსებული ნაშთის დაზუსტებით და შესაბამისად მისი ხარჯებში ასახვით
- 3778.43 ათ. ლარი - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 04 აპრილის N311, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების საფუძველზე.
- 899,094 ათ.ლარი - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის #466, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების საფუძველზე
- 160,0 ათ.ლარი - საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 აგვისტოს #1099, „საქართველოს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების საფუძველზე
- 159,1 ათ. ლარი - ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით.

აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით თელავის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 13396,7 ათ.ლარით.

ფაქტიური შემოსულობების მიხედვით:

ქონების გადასახადიდან 2013 წლის განმავლობაში შემოვიდა 2150,3 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 151,4%-ით.

მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან შემოვიდა 930,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 155,1%-ით. ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი შესრულდა 255,8 % -ით. აგრეთვე, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 113,4 64 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 213,3%-ით, ხოლო, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოვიდა 528,4 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 105,7%-ით.

გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 95,6%-ით. მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი - 100%-ით, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 100%-ით, ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი-90,8%-ით.

პროცენტებიდან მიღებულმა შემოსავალმა წლის განმავლობაში შეადგინა 95,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 190,8 %-ით, 45,4 ათასი ლარის გადაჭარბებით.

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობებისათვის შესრულდა 82,8%-ით. ბიუჯეტში შემოვიდა 190,5 ათასი ლარი.

მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულმა შემოსავალმა წლის განმავლობაში შეადგინა 51,2 ათასი ლარი, დაგეგმილი იყო 50.0 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 102,4%-ით.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან შემოვიდა 216,2 ათასი ლარი. დაგეგმილი იყო 150 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 144,2%-ით.

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსავალმა შეადგინა 59,8 ათასი ლარი. შესრულდა 59,8%-ით. გეგმის შესრულებას დააკლდა 40,2 ათასი ლარი.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 152%-ით. დაგეგმილი იყო 459,1 ათასი ლარი. მიღებულმა შემოსავალმა 698,0 ათასი ლარი.

შემოსავალმა არაფინანსური აქტივების კლებიდან შეადგინა 283,8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 141,9%-ით.

მათ შორის: არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 282,8 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 141,4 %-ით.

სულ შემოსულობების გეგმა შესრულდა 105,2%-ით. 2013 წელს დაგეგმილი იყო 12875,9 ათასი ლარი (ნაშთის ცვლილების გარეშე), მიღებულმა საკასო შემოსავალმა კი შეადგინა 13542,3 ათასი ლარი.

რაც შეეხება ხარჯებს:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების გეგმა შესრულდა 95.0 %-ით. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხარჯების გეგმა შესრულდა 97,5 %-ით. დაგეგმილი იყო 2688,4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2620,0 ათასი ლარი.

თავდაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 94,9 %-ით, დაგეგმილი იყო - 113,9 ათასი ლარი, შესრულდა - 108,1 ათასი ლარით.

საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების ხარჯების გეგმა შესრულდა 97,7%-ით. დაგეგმილი იყო - 471,4 ათასი ლარი, შესრულდა 460,5 ათასი ლარით.

ეკონომიკურ საქმიანობაში ხარჯების გეგმა შესრულდა 95,6 %-ით. დაგეგმილი იყო - 2465,6 ათასი ლარი, შესრულდა 2358,1 ათასი ლარით.

გარემოს დაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 85,4 %-ით. დაგეგმილი იყო - 1240,9 ათასი ლარი, შესრულდა 1060,1 ათასი ლარით.

საბინაო კომუნალური მეურნეობის ხარჯების გეგმა შესრულდა 88,7%-ით. დაგეგმილი იყო - 2782,8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2467,0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების გეგმა შესრულდა 89,6 %-ით.

ხარჯების გეგმა დასვენების კულტურის და რელიგიის სფეროში შესრულდა 97,3%-ით. დაგეგმილი იყო 1427,7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1389,6 ათასი ლარი.

განათლების სფეროში დაგეგმილი იყო - 1237,9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1218,3 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 98,4%-ით.

რაც შეეხება სოციალურ დაცვის ხარჯების გეგმებს, იგი შესრულდა 93,8 %-ით. დაგეგმილი იყო - 435,1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 407,9 ათასი ლარი.

სულ ხარჯების გეგმა შესრულდა 93,5%-ით. დაგეგმილი იყო - 13 396,75 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 12 526,0 ათასი ლარი. გეგმის შესრულებას დააკლდა 870,8 ათასი ლარი.

ნაშთის ცვლილების შესახებ

2013 წლის 01 იანვრისთვის თელავის მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშებზე ნაშთი შეადგენდა 553,3 ლარს: აქედან სს "ლიბერთი ბანკის" ანგარიშზე ა/ა GE31LB0120198781126000 – 520,8, ხოლო ლიკვიდირებული სს "საქართველოს საფოსტო ბანკის" ანგარიშზე ა/ა 330307000001 – 32.5 ლარს.

2014 წლის 01 იანვრისათვის თელავის მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშებზე ნაშთი შეადგენს 1559,5 ათას ლარს: აქედან სს "ლიბერთი ბანკის" ანგარიშზე ა/ა GE31LB0120198781126000 – 1 527.0 ათასი ლარი, ხოლო ლიკვიდირებული სს "საქართველოს საფოსტო ბანკის" ანგარიშზე ა/ა 330307000001 – 32.5 ათასი ლარს.

თელავის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის ანგარიში

2013 წელს თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 100,0 ათასი ლარით, საიდანაც გაიხარჯა 32,41529 ათასი ლარი გამგებლის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე შემდეგი საჭიროების მიხედვით:

1. 2,280 ათასი ლარი – 2012 წლის ივლისის თვეში მომხდარი სტიქიის პრევენციის მიზნით თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული საცხოვრებელი სახლების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღწერის პროცესში ჩართული მუშა ჯგუფების ხელფასით უზრუნველყოფის მიზნით. (ბრძ. #7/2-3, 10.01.2013წ).
2. 0,1 ათასი ლარი - 2012 წლის ივლისის თვეში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქის დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით. (ბრძ. #7/2-16, 22.01.2013წ).
3. 0,2 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირში გარდაცვლილი ნათია ჯაჭვამის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით (ბრძ. #7/2-341, 27,08.2013წ)
4. 0,2 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნასამხრალში გარდაცვლილი ნინო ჩუბინაშვილის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით (ბრძ. #7/2-359, 09,09,2013წ)
5. 3,0 ათასი ლარი - თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული სასმელი წყლის ქსელების და რეზერვუარების სადემონტაჟო სამუშაოების მიზნით (ბრძ. #7/2 – 370 30,09,2013წ)
6. 7,709 ათ. ლარი - სოფ. ნაფარეულში ნალექის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიზნით (6,390 ათ. ლარი) და თელავის მუსიკალური სასწავლებლის დაზიანებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიზნით (1,319 ათ. ლარი) (ბრძ. #7/2-404 18,10,2013წ)
7. 11,17174 ათასი ლარი - ააიპ თელავის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ავარიული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიზნით (ბრძ. #7/2-408 23,10,2013წ)
8. 0,2 ათასი ლარი - დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით. (ბრძ. #7/2-421, 04,11.2013წ).
9. 1,0 ათასი ლარი - ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის შედეგების პრევენციის მიზნით (ბრძ. #7/2-435 20,11,2013წ)

10. 0,1ათასი ლარი - დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით. (ბრძ. #7/2-453, 03,12.2013წ).
11. 5,114 ათასი ლარი - დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით (0,13 ათ.ლარი), სოფ. იყალთოში ჭაბურღილის გაწმენდისათვის (4,984 ათ. ლარი). (ბრძ. #7/2-463, 20,12.2013წ).
12. 0,3 ათასი ლარი - დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით. (ბრძ. #7/2-465, 23,12.2013წ).
13. 0,3 ათასი ლარი - დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით. (ბრძ. #7/2-477, 27,12.2013წ).
14. 0,14055 ათასი ლარი - ხანძრის შედეგად დაზარალებულის პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების და კვების პროდუქტების შესაძენად (ბრძ. #7/2-464, 20,12.2013წ).
15. 0,6 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირებისათვის (ბრძ. #7/2-481, 31,12.2013წ).

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ ანგარიში

2013 წელს განმავლობაში თელავის მუნიციპალიტეტის მიერ წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდიდან გაიხარჯა 264,1 ათასი ლარი მათ შორის:

264,1 ათასი ლარი - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ თელავის მუნიციპალიტეტში წინა წლებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისათვის თელავის მუნიციპალიტეტს და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის
უფროსი

მიხეილ შაშიაშვილი